საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

2014 წელი

კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით

სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება“. ის გამოხატავს საქართველოს მოქალაქეების, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა და რწმენისა – ნებას, ერთიანი ძალისხმევით ჩამოაყალიბონ დემოკრატიული სახელმწიფო.

თუმცა, საქართველოში წარმოებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა მძიმე დაღი დაასვა არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, არამედ, მის დემოკრატიულ განვითარებასაც. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღება მიქცეს კონფლიქტით დაზარალებული პირებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 20-30%-ს შეადგენს.

კონფლიქტით დაზარალებულთა უფლებების დაცვა ის ქვაკუთხედია, რომელიც საშუალებას მისცემს კონფლიქტით დაშორიშორებულ მხარეებს აღადგინონ ნდობა და ითანამშრომლონ მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად. წარმოუდგენელია მშვიდობა სამართლიანობის აღდგენისა და კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ღირსების და უფლებების პატივისცემის გარეშე.

მეორე მხრივ, მხოლოდ მშვიდობიან გარემოშია შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევა, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების დაცვაზე, სოციალურ კეთილდღეობაზე, თანასწორობასა და ეკონომიკურ აღმავლობაზე.

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და პრიორიტეტი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგია. წინამდებარე ბიულეტინში, წარმოგიდგენთ, 2014 წელს, ჩემი და ჩემი აპარატის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის კუთხით. მოხარული ვარ, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციების ნაწილი ამ მიმართულებით შესრულდა და იმედს ვიტოვებ, რომ 2015 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება.

პატივისცემით,
საქართველოს სახალხო დამცველი

შინაარსი:

სახალხო დამცველის მისალმება	1
საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ	2
1. სახალხო დამცველის ინიციატივები	3
2. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა	4
3. განხორციელებული პროექტები და საერთაშორისო თანამშრომლობა	14
4. 2015 წლის პრიორიტეტები	15

საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერით, 1996 წლის 16 მაისს, ძალაში შევიდა ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ"; განისაზღვრა უფლებამოსილება, დამტკიცდა აპარატის შემადგენლობა და სტრუქტურა.

საქართველოს სახალხო დამცველი არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. საქართველოს სახალხო დამცველი მის საქმიანობაში **დამოუკიდებელია და** ხელისუფლების არც ერთ შტოს არ მიეკუთვნება.

სახალხო დამცველი ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვას.

სახალხო დამცველის საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სახალხო დამცველის სამდივნო, სახალხო დამცველის მრჩევლებითა და თანაშემწეების საშუალებით. რეგიონული წარმომადგენლობების მუშაობას ხელმძღვანელობს რეგიონული სამმართველო. ამის გარდა სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს შემდეგი დეპარტამენტები და ცენტრები:

- პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი
- თანასწორობის დეპარტამენტი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი
- ანალიტიკური დეპარტამენტი
- ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი
- საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
- ბავშვის უფლებების ცენტრი

ტოლერანტობის ცენტრი, რომელიც აერთიანებს სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიური უმცირესობების საბჭოებს.

სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. სახალხო დამცველი ასევე, ახორციელებს ზედამხედველობას დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტს **მინიჭებული აქვს „A" სტატუსი,** რაც გაეროს პარიზის პრინციპებთან საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის სრულ შესაბამისობას გულისხმობს. შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მუშაობაში საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე ხმის მიცემის უფლებით, დაიკავოს პოზიცია საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის ბიუროში/ქვეკომიტეტებში და მიიღოს მონაწილეობა ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიებში.

საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოადგენს. იგი ორგანიზებას უწევს ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებსა და კამპანიებს, რომლებიც სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს აერთიანებს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლობები რეგიონებში:

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 577 50 52 31

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ; 577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

თელავი:
თელავი, ჩოლოყაშვილის ქ. 36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

1. სახალხო დამცველის ინიციატივები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებათა დასაცავად

2014 წლიდან სახალხო დამცველის ინიციატივით, გააქტიურდა მუშაობა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დასაცავად. მართალია, სახალხო დამცველის აპარატი ყოველთვის ამახვილებდა ყურადღებას იძულებით გადაადგილებული პირებისა და 2008 წლის ომის დროს დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვაზე, თუმცა, ახალი ინიციატივით, კონფლიქტების შედეგად დარღვეული უფლებების გამოვლენისა და აღდგენისათვის სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება იგეგმება. ამისათვის სახალხო დამცველმა შემდეგი ღონისძიებები გაატარა:

1.1. ოსური ფორუმი

2014 წლის იანვარში სახალხო დამცველთან შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო ოსური ფორუმი, რომელიც აერთიანებს საქართველოში მცხოვრები ოსი თემის წარმომადგენლებს, მათ შორის დედაქალაქში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რეგიონებში მოღვაწე აქტივისტებსა და კულტურის, ხელოვნებისა და განათლების სფეროს წარმომადგენლებს. ოსური ფორუმის მიზანია აღმოფხვრას კონფლიქტებისა და დაძაბული მდგომარეობის უარყოფითი შედეგები ჩვენს ქვეყანაში; დაიცვას საომარი მოქმედებების დროს დაზარალებული მოქალაქეების უფლებები და ინტერესები; დაიცვას საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნების ადამიანთა უფლებები, მათ შორის მათი ეთნიკური იდენტობა და კულტურული უფლებები.

ბოლო ერთი წლის მანძილზე, ოსური ფორუმის წევრებთან სახალხო დამცველის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრებზე დასმული იყო ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორიცაა ოსური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ოსური ენის სწავლების პრობლემა, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული ბარიერები, რესტიტუცია და აშ.

წამოჭრილი თემების საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არსებული პრობლემები და შეიმუშავა რეკომენდაციები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსადმი (იხილეთ რეკომენდაციები და წინადადებები გვ. 6).

შეხვედრა ოსური ფორუმის წევრებთან

2014 წლის მარტში, ოსური ფორუმის წარმომადგენლები შეხვდნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხები განიხილეს. ნოემბერში კი, სახალხო დამცველის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ოსური ფორუმისა და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოების წევრებმა. შეხვედრაზე, სხვა პრობლემებთან ერთად, განიხილა ოსური თემის უფლებრივი მდგომარეობის, ოსური ენის სწავლებისა და ოსური კულტურის შენარჩუნების საკითხი. 2015 წელს იგეგმება ფორუმის შეხვედრა პარლამენტის წევრებთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.

ამის გარდა, ოსური ფორუმის მიერ პრობლემის იდენტიფიცირების შედეგად, სახალხო დამცველის თანამშრომლებმა დაიწყეს ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც მიმოიხილავს კონფლიქტების შედეგად დაზარალებული, ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მოქალაქეობის საკითხებს და იმ პრობლემებს, რომელიც წარმოიშვება მათ მიერ ორი ქვეყნის მოქალაქეობის ფლობის შემთხვევაში. კვლევა მიმდინარეობს თბილისში, კახეთში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში და 2015 წლის თებერვალში დასრულდება (დეტალები იხილეთ გვ 6).

1.2. სახალხო დამცველის მრჩეველი კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში

2014 წლის თებერვალში სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში სახალხო დამცველის უფროსი მრჩევლის პოზიცია. იგი კონსულტაციას უწევს სახალხო დამცველს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ; ხელმძღვანელობს კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებას და კვლევებს; უზრუნველყოფს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლას და რეკომენდაციების შემუშავებას; და სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა და საქმიანობის გაცნობის მიზნით, თანამშრომლობს სამთავრობო უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ამის გარდა, სახალხო დამცველის მრჩეველი მჭიდროდ თანამშრომლობს სახალხო დამცველის გორის და ზუგდიდის ოფისებთან და მათთან ერთად ახორციელებს კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების რეგულარულ მონიტორინგს. 2014 წელს, სახალხო დამცველის მრჩევლის მიერ განხორციელდა 20-მდე ვიზიტი შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, შემუშავდა 4 რეკომენდაცია/წინადადება, შესწავლილი იქნა 30 განცხადება და კონსულტაცია გაეწია 100-მდე მოქალაქეს.

2. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

2.1. მონიტორინგი, კვლევები და სპეციალური ანგარიშები

2.1.1 გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მონიტორინგი

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიზნით, სახალხო დამცველის თბილისის, გორის და ზუგდიდი ოფისის თანამშრომლები რეგულარულ მონიტორინგს აწარმოებენ სამეგრელოსა და შიდა ქართლის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. მონიტორინგი ხდება როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე მოქალაქეებისა და განმცხადებლების თხოვნის საფუძველზე. 2014 წლის მანძილზე სულ განხორციელდა 100-მდე მონიტორინგი და კონსულტაცია გაეწია 300-ზე მეტ მოქალაქეს.

მონიტორინგის მიზანია მოხდეს ზოგადი უსაფრთხოების, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების და სხვა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შესწავლა და შეფასება, უფლებების დარღვევების ინდივიდუალური საქმეების შესწავლა და კონკრეტული პრობლემების გამოვლენა, მათზე რეაგირების მიზნით.

2014 წელს, სახალხო დამცველი და მისი თანამშრომლები იმყოფებოდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩასა და შამგონაში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში, ქარელის, გორის და კასპის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის სოფლების უმრავლესობაში და საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების და უფლებების დარღვევების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი მიმართავს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, წერილობით, რეკომენდაციით ან წინადადებით (გამოვლენილი პრობლემებისა და უფლებების დარღვევების შესახებ იხილეთ გვ.6)

სახალხო დამცველის ვიზიტი ხურჩაში

გამყოფი ხაზის სოფლებს რამდენჯერმე ესტუმრა თავად სახალხო დამცველი. 2014 წლის აპრილში უჩა ნანუაშვილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩას მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა. 2015 წლის 20 იანვარს შეხვედრა გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში, სადაც სახალხო დამცველმა თავისი რეკომენდაციები გააცნო მოსახლეობას. ზარდიაანთკარში გამართულ შეხვედრას გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ონიაშვილიც ესწრებოდა, რამაც საშუალება მისცა ადგილობრივებს პირადად გაეზიარებინათ გამგებლისთვის მათი საჭიროებები და პრობლემები.

2.1.2 სპეციალური ანგარიში ზარდიაანთკარის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში მონიტორინგის შედეგად, 2014 წლის დეკემბერში მომზადდა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების თაობაზე, სათაურით „ზარდიაანთკარი: ომის შედეგები და არსებობის სიმძიმე.“ ანგარიშში მიმოხილულია ზარდიაანთკარის მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა.

ზარდიაანთკარი რეგიონში ერთ—ერთი ყველაზე პატარა სოფელია, მაგრამ, რიგით მეორეა (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის შემდეგ), სადაც 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ კონტროლის აღდგენა მოახერხა. ეს სოფელი შიდა ქართლის კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებს შორის დღემდე ყველაზე სავალალო მდგომარეობაშია და პრობლემების მოუგვარებლობის შემთხვევაში, მის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას საფრთხე ემუქრება. მწვავე სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, სოფელში მოსახლეობა არ ბრუნდება და გორის საბავშვო ბაღში აგრძელებს ცხოვრებას.

სოფელში სახლების უმეტესობა დაზიანებული და საცხოვრებლად უვარგისია; მიუხედავად ინტენსიური სამუშაოებისა, სოფელს დღემდე არ აქვს სასმელი და სარწყავი წყალი, და ბუნებრივი აირი. მოსახლეობის ღირსეული დაბრუნებისა და სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სახალხო დამცველმა შეიმუშავა რეკომენდაციები ადგილობრივი და ცენტრალურ ხელისუფლებისათვის, რომელიც ასევე ასახულია ანგარიშში.[1]

2.1.3 სპეციალური ანგარიში პატიმრების შესახებ

2014 წელს ერთერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხად რჩებოდა მუდმივი დაკავებები გამყოფ ხაზზე და პატიმრების საკითხი, რაც უარყოფითად მოქმედებს ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე. როგორც ოსი, ისე ქართველი პატიმრები და მათი ოჯახის წევრები რეგულარულად მიმართავენ სახალხო დამცველს და მოითხოვენ შეწყალებას და მხარეების ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის პატიმრობაში მყოფი პირების გათავისუფლებას.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს ციხეებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მკვიდრი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა და 2014 წლის ივნისში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან დაკავებებისა და პატიმრობაში მყოფი პირების საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში ასახულია დაკავებულ პირთა სტატისტიკა და რეკომენდაციები, რომელიც საკითხის მოგვარების მიზნით ომბუდსმენის აპარატმა შეიმუშავა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეთა თავისუფლების აღკვეთის ფაქტები წლებია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. აფხაზი და ოსი სამართალდამცავები მათ რამდენიმედღიანი პატიმრობისა და ჯარიმის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ. მოუგვარებელი კონფლიქტების შედეგები ასევე მწვავედ აისახება გალის რაიონში მცხოვრებ მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე. ამჟამად სოხუმში გალის რაიონში მცხოვრები არაერთი მკვიდრი ჰყავთ დაკავებუ-

1 ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/specialuri-angarishi-zardiaantkari-omis-shedegebi-da-arsebobis-simdzime.page

ლი, ისევე როგორც თბილისში რამდენიმე გალის მკვიდრი იხდის სასჯელს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება ორივე მხარეს; უნდა შეწყდეს ხანგრძლივი დაკავებები გამყოფ ხაზზე და გამოინახოს რეაგირების ისეთი ფორმა, რომელიც არ დაარღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს; გამოინახოს გზები დაკავებულთა და პატიმართა გასათავისუფლებლად, რომელიც შესაძლოა იყოს გათავისუფლება — „ყველა ყველაზე", ვადაზე ადრე გათავისუფლების, ამნისტიის ან შეწყალების გზით; პატიმრების საკითხის გადაჭრის პარალელურად, მხარეები უნდა შეთანხმდნენ ისეთ მექანიზმებზე, რომლებიც უზრუნველყოფს გამყოფ ხაზზე დაკავებების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას.[2]

2.1.4 კვლევა მოქალაქეობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე

სახალხო დამცველთან არსებული ოსური ფორუმის ინიციატივითა და დახმარებით, 2014 წლის ნოემბერში სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო კვლევა, რომელიც საქართველოში მცხოვრები, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მოქალაქეობის პრობლემებს შეისწავლის. კონკრეტულად კი, კვლევა ეხება იმ ეთნიკურად ოს მოსახლეობას, რომლებიც საქართველოში მუდმივად ცხოვრობს, ფლობს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მოქალაქეობას, მაგრამ არ აქვთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მინიჭებული ე.წ. „ორმაგი მოქალაქეობა". შესაბამისი ორგანოების მიერ ამ ფაქტის დადგენა ავტომატურად იწვევს საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტას. შესაბამისად ისინი ხდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რითაც ეზღუდებათ საქართველოს მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული პრივილეგიებით სარგებლობის შესაძლებლობა.

კვლევის მიზნით, ვიზიტები განხორციელდა კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ფონაში და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში ფიჩხოვანსა და არგოხში, ასევე, შიდა ქართლში კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელუბანსა და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში ყინწვისსა და ატოცში. კვლევა ევროპის საბჭოს და შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, იგი 2015 წლის თებერვლის ბოლოს დასრულდება, რის შემდეგაც სახალხო დამცველი თავის რეკომენდაციებს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად.

2 ნარკვევის სრული ტექსტი იხილეთ http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1771.pdf.

სოფელი ყინწვისი

2.2. 2014 წლის აქტუალური თემები და სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს

2.2.1. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მდგომარეობა

ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა უმრავლეს შემთხვევაში მძიმეა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: უსაფრთხოების დაბალი დონე, სარწყავი წყლის არ ქონა, სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების დაკარგვა, უმუშევრობა.

2008 წლის ომის შედეგად ორი არხი და ორი წყალსაცავი, რომლებიც სარწყავი წყლით ამარაგებდა შიდა ქართლის სოფლებს, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩა და მიწოდება შეწყდა. ამის გარდა, გამყოფ ხაზზე მდებარე სოფლების უმეტესობამ დაკარგა სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები და ტყით სარგებლობის საშუალება. ამით მოსახლეობამ სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობიდან მიღებული მთავარი შემოსავლის წყარო დაკარგა. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კოშკაში და გუგუტიანთკარში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დაახლოებით 50—60 % საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზეა მოქცეული.

მაგალითისთვის, სოფელი ხურვალეთის მოსახლეობის თქმით, 2008 წლის შემდეგ, უწყლობის გამო მოსახლეობა მიწებს ვეღარ ამუშავებდა, თუმცა, საქონელს მაინც ინარჩუნებდა, რადგან საძოვრებზე ხელი მიუწვდებოდათ. 2012-2013 წლებში მავთულხლართების გავლების შემდეგ, საძოვრებითაც ვეღარ ახერხებენ სარგებლობას.

გარდა ამისა, გახშირებული დაკავებების გამო, მოსახლეობას ეშინია ტყეში შესვლა და ზამთრისთვის შეშის მომარაგება. უნდა აღინიშნოს, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ეთნიკურად ქართველ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობს ეთნიკურად ოსი მოსახლეობაც, რომელიც ისევე ზარალდება, როგორც მათი მეზობელი ქართველები.

შედეგად, გამყოფი ხაზის სოფლებიდან მიგრაციის მაღალი დონის გამო, მოსახლეობის რაოდენობა უმრავლეს შემთხვევაში განახევრებულია.

მავთულხლართები ადგილობრივის ბაღში.
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელი ფახულანი

2013 წელს, ხელისუფლებამ, მავთულხლართების გავლების შედეგად დაზარალებულად გამყოფი ხაზის მიმდებარე 50 სოფელი ცნო, როგორც შიდა ქართლში ისე სამეგრელოს რეგიონში და მათთვის სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, რაც გულისხმობს ინტენსიურ გაზიფიცირებას და სარწყავი წლის სისტემის რეაბილიტაციას, ამბულატორიების და საბავშვო ბაღების მშენებლობას, სხვა ინფრასტრუქტურულ მოწყობას, სწავლის სრულ დაფინანსებას, და აშ. 2014 წელს აქტიურად მიმდინარეობდა სამშენებლო პროცესი, რომლის საბოლოო დასრულების შემდეგაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უფლებები.

მოსახლეობის უსაფრთხოების სერიოზულ პრობლემად რჩება დაკავებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა პირადად მოინახულეს დაკავებული პირები შიდა ქართლის სოფლებიდან: ფლავი, ქვეში, კირბალი, ახალსოფელი, წითელუბანი, ხურვალეთი, ზემო სობისი, ბერშუეთი, საკორინთლო, დვანი, მეჯვრისხევი, ზერტი, დიცი, ქვემო არცევი.

სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე, საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა დაკავების შემთხვევაში ჯარიმა 100-600 ლარია, იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ იყო პირი დაკავებული. აფხაზეთის მიმართულებით, ჯარიმა გალის რაიონის მოსახლეობისათვის 50 ლარს შეადგენს, ხოლო საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის 500-დან 5 000 ლარამდე მერყეობს. ეს თანხა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მძიმე ფინანსური ტვირთია. მოსახლეობა დახმარების გაწევას ითხოვს ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებით, რადგან მათი უმეტესობა სოციალურად დაუცველია. არის შემთხვევები როდესაც ოჯახიდან ორ წევრს აკავებენ. აკავებენ ქალებსაც, ბავშვებსაც და მოხუცებსაც.

შიდა ქართლის მოსახლეობა თავს დაცულად არ მიიჩნევს, რადგან დაკავებები ხშირად ხდება სოფლის ტერიტორიაზე. ადგილობრივების ცნობით, არის შემხვევები, როდესაც რუსი მესაზღვრეები გადმოდიან და მოსახლეობას საკუთარ ბაღებში, სოფლის გზაზე ან სასაფლაოზე აკავებენ (ფლავი, ბერშუეთი, ზემო სობისი). 2014 წლის პიკად ალბათ მაისის თვე შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც 2-დან 12 მაისამდე, 26 ადგილობრივი მკვიდრი დააკავეს ჯონჯოლის კრეფის დროს.

სახალხო დამცველისათვის, ასევე ცნობილი გახდა, აფხაზეთის გამყოფ ხაზზე 12 წლის ავადმყოფი გოგონას დაკავების შესახებ, რომელიც 2014 წლის დეკემბერში დედასთან ერთად ოპერაციისათვის მიდიოდა გალის რაიონიდან თბილისში. მას რუსეთის ბაზის გაყინულ სარდაფში 5 საათის გატარება მოუწია, რის შედეგადაც ბავშვს აეწია ტემპერატურა და დაეწყო ასთმური შეტევები. სამწუხაროდ, შექმნილი ვითარების გამო მოზარდისათვის ოპერაციის გაკეთება რამდენიმე თვით გადაიდო.

დღეისათვის ცხინვალის ციხეში თავისუფლება აქვს აღკვეთილი 6 პირს, აქედან ორი ახალგორის მკვიდრი, ეთნიკურად ქართველია, რომლებსაც ჯაშუშობა და ადამიანის გატაცება ედებათ ბრალად. რუსთავის და ქსნის ციხეებში 7 ოსი პატიმარია, რომელიც „გაცვლას“ ან ცხინვალში გადაყვანას ითხოვს. რაც შეეხება აფხაზეთის ციხეში მყოფ ქართველ პატიმრებს, ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლება ზუსტ მონაცემებს არ ფლობს, თუმცა არაოფიციალური ინფორმაციით, 30-მდე გალის, ზუგდიდის, ხობის და თბილისის მაცხოვრებელი იხდის სასჯელს ჯაშუშობის, ტერორიზმის, ყაჩაღობის, იარაღის უკანონო შენახვის, კონტრაბანდისა და ომში მონაწილეობის ბრალდებით.

საქართველოს სახალხო დამცველმა ამ თემას სპეციალური ანგარიში მიუძღვნა, სადაც დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება ორივე მხარეს და უნდა გამოინახოს რეაგირების ისეთი ფორმა, რომელიც არ დაარღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2014 წელი განსაკუთებით მძიმე იყო ახალგორის და გალის მოსახლეობისათვის. ახალგორის მიმართულებით, ხშირად იკეტება მიმოსვლა, განსაკუთრებით დღესასწაულებზე. პრობლემა იყო ე.წ. „საშვების“ გაცემაც, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა მაისში, როდესაც მოსახლეობას თითქმის ერთი თვის მანძილზე შეეზღუდა გადაადგილება. ახალგორში დღემდე რჩებიან გაყოფილი ოჯახები, რომელთა ნაწილიც რაიონში ვერ შედის, ნაწილი კი, ვერ გამოდის.

უკიდურესად დაძაბული აღმოჩნდა 2014 წელი გალის მოსახლეობისათვის. ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის საკითხი აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკურ პროცესების ერთ—ერთი მთავარი თემა იყო. ამას გალის მოსახლეობაში პანიკა მოჰყვა. სიტუაცია დღემდე დაძაბულია, რადგან ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი გალის რაიონის მოსახლეობის დოკუმენტაციისა და გადაადგილების თავისუფლების საკითხი.

2.2.2. ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის საკითხები

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვისა და ნდობის აღდგენის მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ 2010 წელს დაამტკიცა „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომ რეფერალური პროგრამა), რის საფუძველზეც კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ პირებს შესაძლებლობა მიეცათ ისარგებლონ უფასო სამედიცინო მომსახურებით. აღნიშნული პროგრამა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკის ყველაზე წარმატებული მიმართულება აღმოჩნდა.

თუმცა, სახალხო დამცველის დაკვირვებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებისადმი „რეფერალური პროგრამის“ ფარგლებში არაერთგვაროვანი მიდგომა გამოიკვეთა. თუ მანამდე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შუამდგომლობის საფუძველზე ხდებოდა პაციენტების საკითხის განხილვა „რეფერალური მომსახურების“ შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილ კომისიაზე (შემდგომში რეფერალური კომისია), დღეს, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს აღარ შუამდგომლობს.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ყველა პაციენტი, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ ჩაყენებული და მათდამი ერთგვაროვანი მიდგომა უნდა იყოს შემუშავებული. ამ საკითხთან დაკავშირებით, 2014 წლის 16 აგვისტოს სახალხო დამცველმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს წინადადებით მიმართა, მოამზადოს ცვლილებები „რეფერალური მომსახურების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში, რათა სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირთა მიმართ ერთგვაროვან პრაქტიკას.

რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, ისინი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს მოქალაქეებისთვისაა გათვლი და შესაბამისად, არ არის ხელმისაწვდომი აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანებისათვის, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა არ გააჩნიათ. ოსური და აფხაზური პასპორტები საქართველოს კანონმდებლობით არალეგიტიმურია და იურიდიული ძალა არ აქვთ. თუმცა, პირის იდენტიფიკაციის მიზნით, არის ამ პასპორტების გამოყენების პრეცედენტები. როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთიდან ან ცხინვალის რეგიონიდან გადმოსულმა პიროვნებამ, რომელსაც საქართველოს რეფერალური პროგრამის ფარგლებში უფასოდ მკურნალობა სურს, იდენტიფიკაციისათვის სწორედ აფხაზური ან ოსური პასპორტი უნდა წარმოადგინოს.

გარდა ამისა, ოსური და აფხაზური პასპორტები გამოიყენება მაშინაც, როდესაც ოჯახის წევრები ჩამოდიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განლაგებულ ციხეებში პატიმრების მოსანახულებლად. ასეთი პრეცედენტები მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან ის ერთი მხრივ, ხელს უწყობს ადამიანის უფლებების რეალიზებას და მეორე მხრივ, შესაძლებელს ხდის გამყოფი ხაზებით დაშორებულ

საზოგადოებებს შორის კონტაქტებისა და ნდობის აღდგენას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებას აკისრია ვალდებულება დაიცვას კონფლიქტური რეგიონების მკვიდრი მოსახლეობის უფლებები და უზრუნველყოს მათთვის სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის მიუხედავად.

აღნიშნულის თაობაზე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა პრემიერ–მინისტრს, სადაც დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ოსური და აფხაზური პასპორტები შესაძლებელია გამოიყენებოდეს პიროვნების იდენტიფიცირების საშუალებად, რითაც მოქალაქეები მიიღებდნენ სხვადასხვა ტიპის დახმარებებს. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, პირები, რომელთა ჯანმრთელობას მიადგა ზიანი შრომითი მოვალეობის შესრულებისას და ა.შ. ამისათვის საჭიროა მომზადდეს ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებასა და 2014 წლის 14 აპრილის №291 დადგენილებაში, რაც აფხაზ და ოს მოქალაქეებს სოციალური დახმარებების მიღების საშუალებას მისცემს. იგივე შინაარსის წინადადება ასევე გაეგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს.

2.2.3. განათლების და კულტურული უფლებები

კვლავ პრობლემად რჩება ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების საკითხი. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ოსური ფორუმი და ეროვნულ უმცირესობათა საბჭო წლების განმავლობაში აყენებს ოსური ენის სწავლების უფლებას, იმ რეგიონებში სადაც ათწლეულების მანძილზე ისწავლებოდა ეს ენა.

2012 წლიდან სკოლების ოპტიმიზაციის პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღარ აფინანსებს ოსური ენის სწავლებას 3 სკოლაში, რომლებშიც ოსური ენის სწავლების ათეულობით წლების ტრადიცია არსებობდა. ეს სკოლები მდებარეობდა ოსებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არეშფერანსა და ფონაში, და ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკენაანთსერში. 2012 წლამდე ამ სკოლებში ოსური ენა კვირაში 3-5 საათი ისწავლებოდა.

ამის გარდა, 2013 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაფინანსება შეუწყვიტა თბილისი 11-ე საჯარო სკოლის ბაზაზე არსებულ ოსურ საკვირაო სკოლასაც, რომელიც 2006 წლიდან ფუნქციონირებდა. საკვირაო სკოლაში 20-მდე მსმენელს ოსური ენის, კულტურის, ისტორიის, ფოლკლორის, კავკასიური ცეკვებისა და სიმღერების შესწავლის შესაძლებლობა ჰქონდა.

2014 წლის 16 მაისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს საქართველოში ოსი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობით უზრუნველყოფის თაობაზე. რეკომენდაციაში ხაზგასმულია, რომ უნდა აღდგეს და გაგრძელდეს ოსური ენის სწავლება იმ სკოლებში, რომელთაც შესაბამისი ბაზა ჯერ ისევ გააჩნიათ, ამისათვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შემჭიდროვებულ ვადებში უნდა შეიმუშავოს ოსური ენის სტანდარტი და გაგრძელოს ოსური ენის, როგორც ცალკე საგნის, სწავლების დაფინანსება არეშფერანში, ფონასა და წიწკენაანთსერი.

არეშფერანის საჯარო სკოლა

ასევე, 27 მაისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ოსური სახლის რესტავრაცია და მასში მუდმივმოქმედი გამოფენის მოწყობის ხარჯები.

ოსური სახლი, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, ორიგინალი ნიმუშია და ჩამოტანილია ჯავის რაიონის სოფელ სოხთადან 1975 წელს. 1990-იანი წლებში ვერ მოხერხდა სახლზე სათანადო ყურადღების მიქცევა და გარემოპირობების გამო იგი დაზიანდა.

2015 წლის იანვარში, სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ოსური სახლის აღდგენა დაგეგმილია 2015 წლის მეორე ნახევარში. ოსური სახლის აღ-

დგენა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს მიერ ეროვნული უმცირესობების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების საქმეში და ხელს შეუწყობს საქართველოში ოსური ეთნო-კულტურის პოპულარიზაციას, ოსური თემის კულტურული უფლებებისა და მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას.

2.2.4. სახალხო დამცველის განცხადებები

განცხადება რუსი მესაზღვრეების მიერ დაკავებულ რომან შიტიკოვთან დაკავშირებით.

19 მაისს სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა ე.წ ადმინისტრაციულ საზღვარზე დაკავებულ რომან შიტიკოვის შესახებ. სახალხო დამცველის ინფორმაციით, შიტიკოვი ბოლოს მოქალაქე გ.ა-მ ნახა ცხინვალის ციხეში, სადაც ისინი ერთ საკანში იმყოფებოდნენ. გ.ა-ს გადმოცემით, შიტიკოვს დახვრეტით ემუქრებოდნენ 2008 წლის ომში მონაწილეობის გამო. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შიტიკოვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შესაძლოა საფრთხე ემუქრებოდეს და მოუწოდებს საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებს, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას და ადამიანის უფლებათა დაცვით საერთაშორისო ორგანიზაციებს მყისიერად მოახდინონ რეაგირება შიტიკოვის საკითხზე და უზრუნველყონ მისი დროული გათავისუფლება.

სახალხო დამცველის განცხადება ახალგორის მკვიდრ გ.ბ.-სთან დაკავშირებით

23 ივნის სახალხო დამცველმა ახალგორის ერთერთ მკვიდრთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ „სახალხო დამცველს დაუკავშირდა ახალგორში გაუჩინარებული გ.ბ.-ს ოჯახის ახლობელი. მისი განცხადებით, ამა წლის 4 ივნისს, 20 წლის გ.ბ. და დ.ა. სამსახურიდან წაიყვანეს ახალგორის დე ფაქტო მილიციაში დასაკითხად როგორც ქურდობაში ეჭვმიტანილი. დ.ა. დაკითხვის შემდეგ გამოუშვეს. გ.ბ. ბოლოს დ.ა.-მ სწორედ მილიციაში ნახა და მას შემდეგ მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ოჯახის ინფორმაციით იგი გამომძიებელს არ დაუკითხავს. დღის ბოლოს, კი გ.ბ.-ს პირადი ნივთები მილიციამ ოჯახის შორეულ ნათესავს მიუტანა სახლში. ახლობლების განცხადებით, ახალგორის დე ფაქტო მილიცია ოჯახს ეუბნება, რომ გ.ბ სახლთან დატოვეს და იგი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდა.

სახალხო დამცველმა მიმართა რუსეთი ფედერაციის ხელისუფლებას, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოახდინონ დაკარგულის მოძიებაზე დროული და ეფექტური რეაგირება და ითანამშრომლონ დაკარგულის ადგილსამყოფელის დასადგენად.

სახალხო დამცველის განცხადება იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

30 აგვისტოს, იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც მან პატივი მიაგებო უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ადამიანების ხსოვნას, მიუსამძიმრებს მათ ოჯახებსა და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, ასევე, დე ფაქტო მთავრობებს სოხუმსა და ცხინვალში, არსებითად ითანამშრომლონ გაუჩინარებულთა მოძიებისა და მათი ოჯახების დახმარების მიზნით.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის სტატუტისა და გაეროს „იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის თანახმად, იძულებითი გაუჩინარება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება. თანამედროვე მსოფლიოში იძულებით გაუჩინარებას ხშირად მიზანმიმართული ხასიათი აქვს და პოლიტიკური ოპონენტების რეპრესიებსა და კონფლიქტურ სიტუაციებში მოწინააღმდეგის დასჯას ისახავს მიზნად.

საქართველოში გაუჩინარებულთა პრობლემა მტკივნეულად დგას და ძირითადად შეიარაღებულ კონფლიქტებს უკავშირდება. 90-იანი წლების კონფლიქტების შედეგად 1500-მდე ეთნიკურად ქართველი, 200-მდე ეთნიკურად აფხაზი და 100-მდე ეთნიკურად ოსი მოქალაქე, ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ, 6 ოსი და 35 ქართველი ითვლება უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულად.

2013 წლის 20 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, აწარმოოს ეფექტიანი და ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები გაუჩინარებულ პირთა სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო იმ ფაქტებზე, რომლებზეც გამოძიება ჯერ არ დაწყებულა, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „იძულებითი გაუჩინარებისაგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება. ერთი მხრივ, აღნიშნული უზრუნველყოფს საქართველოს იურისდიქციაში მსგავს ქმედებათა პრევენციას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელშეკრულების რატიფიცირება იქნება ნათელი დასტური იმისა, რომ სახელმწიფო ეფექტურად ებრძვის ამ საერთაშორისო დანაშაულს.

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

21 სექტემბერს მსოფლიო მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ უერთდება და აღნიშნავს ამ დღეს, გამომდინარე იქიდან, რომ მისი საქმიანობის ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას სწორედ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობის მონიტორინგი და მათი უფლებების დაცვა წარმოადგენს.

სახალხო დამცველის განცხადებით, მხოლოდ ომისგან თავისუფალ გარემოშია შესაძლებელი მდგრადი განვითარების მიღწევა, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების პატივისცემასა და დაცვაზე, სოციალურ კეთილდღეობაზე, თანასწორობასა და ეკონომიკურ აღმავლობაზე.

„მშვიდობა ჩვენი უფლება და ხელისუფლების ვალდებულებაა. მშვიდობა და კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება, როგორც ხელისუფლებისაგან, ისე საზოგადოებისაგან დაუღალავ შრომას, თანმიმდევრობას, მოქნილობას, მიმტევებლობასა და მშვიდობის იდეის ერთგულებას მოითხოვს“ ნათქვამია განცხადებაში.

ომბუდსმენმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებასა და დე ფაქტო მთავრობებს შეუერთდნენ მშვიდობის საერთაშორისო დღეს და ძალისხმევა არ დაიშურონ, რათა მოლაპარაკებების დროს ადამიანის უფლებები და მოქალაქეების კეთილდღეობა პოლიტიკურ უთანხმოებაზე პრიორიტეტული გახდეს.

სახალხო დამცველის თანამშრომლებმა მშვიდობის საერთაშორისო დღე აღნიშნეს

2.3. წარმატებული და განსაკუთრებული საქმეები, სტატისტიკა

საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წელს კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიზნით 30-მდე საქმე შეისწავლა. პრობლემები ძირითადად ეხება კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობას, გადაადგილების თავისუფლებას, უსაფრთხოებასა და სოციალურ საკითხებს. განმცხადებელთა 51% ქალია, 49 % მამაკაცი. გეოგრაფიულად კი, განცხადებები არის შიდა ქართლიდან, სამეგრელოდან, კახეთიდან, თბილისიდან, გალისა და ახალგორის რაიონებიდან.

ჯანდაცვა და სოციალური საკითხები

სახალხო დამცველის 2014 წლის 13 ოქტომბრის მიმართვის საფუძველზე, გალის რაიონის მკვიდრს ვ.რ-ს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სრულად დაუფინანსა ოპერაციის ხარჯი.

სახალხო დამცველის 2014 წლის 20 ივნისის მიმართვის საფუძველზე, გალის რაიონის მკვიდრს, 11 წლის მ.ს-ს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სრულად დაუფინანსა ოპერაციის ხარჯი. ამის გარდა, ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად, სახალხო დამცველის 2014 წლის 16 ივნისის მიმართვის საფუძველზე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანებით არასრულწლოვანს და მის თანმხლებს 6 თვის ბინის ქირა აუნაზღაურდათ.

მოქალაქეებმა რომლებმაც საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავების პერიოდში განიცადეს არაჰუმანური მოპყრობა, სახალხო დამცველის აპარატის მიერ რეფერირდნენ წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრში (გორის ფილიალი), სადაც მათ რეაბილიტაციის სრული კურსი გაიარეს.

2014 წლის 23 სექტემბერს, შიდა ქართლში, 2008 წლის ომით დაზარალებულ სოფლებში ვიზიტისას სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის ცნობილი გახდა, რომ სოფელ ქვეშში სარემონტო სამუშაოების და გამრიცხველიანების გამო 8 ოჯახს თვეზე მეტი არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. სახალხო დამცველის წარმომადგენლების უშუალო ჩარევის შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდება მოსახლეობას აღუდგა.

ასევე, მონიტორინგის დროს, სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ოთხმა სოციალურად დაუცველმა პირმა გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოკვლევების ჩასატარებლად და მედიკამენტების შესაძენად ერთჯერადი დახმარება მიიღო.

ოსური სახლი

2015 წლის 22 იანვარს, რეკომენდაციის პასუხად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ მუზეუმში განთავსებულ ოსურ სახლს ჩაუტარდება სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2015 წლის III კვარტალში „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობის 2015 წლის პროგრამის ფარგლებში.“

სოფელ გუგუტიაანთკარის მოსახლეობისათვის დევნილის სტატუსის მინიჭება

2014 წელს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიაანთკარში განხორციელებული მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის წარმომადგენლები 9 ოჯახს შეხვდნენ, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც გამყოფ ხაზზე, ქართული საგუშაგოდან მოშორებით მდებარეობს. სახლების ნაწილი ომის დროს დაიწვა. ეს ოჯახები სოფელში მდებარე სკოლის ძველ შენობაში ცხოვრობენ და მათგან მხოლოდ სამს ჰქონდა დევნილის სტატუსი.

პრობლემას ქმნიდა გორის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული განსხვავებული წერილები ოჯახების მდგომარეობის შესახებ. ერთი დოკუმენტის (04.11.2013) თანახმად, მათი სახლები უბრალოდ ახლოს მდებარეობდა მავთულხლართებთან, მეორე დოკუმენტში (02.06.2014) კი განმარტებული იყო, რომ სახლებში ცხოვრება შეუძლებელი ოყო საოკუპაციო ხაზის სიახლოვის გამო. თუმცა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ არცერთი დოკუმენტი საკმარისად არ მიიჩნია ოჯახებისთვის სტატუსის მინიჭების საკითხის გადასაწყვეტად.

შექმნილი მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის აპარატს მოქალაქე ა.გ.-ს ოჯახმა აცნობა და განცხადებით მიმართა. სახალხო დამცველის ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტრომ 2014 წლის სექტემბრის ბოლოს დევნილის სტატუსი მიანიჭა განმცხადებელსა და მისი შვილის ოჯახს. სახალხო დამცველი გუგუტიაანთკარელი კიდევ ორი ოჯახისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხის შესწავლას აგრძელებს.

სოფელ ზარდიაანთკარის მოსახლეობის განსახლების საკითხი.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარის 20-მდე ოჯახი და სოფელ ფლავის ერთი ოჯახი გორის №1 საბავშვო ბაღის შენობაშია შესახლებული და უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობს. სამმა ოჯახმა სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობების თაობაზე. სახალხო დამცველის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საბავშვო ბაღის შენობის დატოვების შემთხვევაში, სამივე ოჯახს ქირით უზრუნველყოფა შესთავაზა.

მოქალაქე ი.ბ.–ს საქმე

ი.ბ. და მისი ოჯახის 4 წევრი, რომელთაგანაც ორი არასრულწლოვანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანის განაპირას ცხოვრობენ. 2013 წლის გაზაფხულზე, რუსმა მესაზღვრეებმა მათ სახლსა და სოფელს შორის მავთულხლართები გააბეს, რითაც ოჯახი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას მოწყვიტეს. ამის შედეგად ოჯახს, მათ შორის ბავშვებს, შეეზღუდა გადაადგილების თავისუფლება. იმის გამო, რომ ბავშვებს სწავლაში ხელი არ შეშლოდათ, მშობლებმა ისინი სოფელში დარჩენილ ნათესავებს მიაბარეს, თვითონ კი მალულად ცდილობენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრას, რის გამოც რუსმა მესაზღვრეებმა არაერთხელ დააკავეს და დააჯარიმეს.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რათა ოჯახის საკითხი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფარგლებში დაესვათ აფხაზურ და რუსულ მხარესთან. პრობლემის თაობაზე ასევე ეცნობათ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანა-თავმჯდომარეებს.

სახალხო დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ი.ბ.-ს ოჯახის მდგომარეობა აცნობა. სახალხო დამცველის თანამშრომლებთან კონსულტაციის შემდეგ, ი.ბ.-მ განცხადებით მიმართა სამინისტროს საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობაზე. მოქალაქის საცხოვრებლით დაკმაყოფილების საკითხი დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის უახლოეს სხდომაზე განიხილება.

მოქალაქე ნ.პ.-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნ.პ.-მ, რომელიც ცხინვალში მცხოვრები სიძისთვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მისი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ყოველთვიურ დახმარებას ითხოვს. ეს საკითხი 2013 წლის 1 მარტის საქართველოს მთავრობის №45 დადგენილებით რეგულირდება. თუმცა, დახმარებით სარგებლობა *შეუძლია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირს* და ამ მოტივით, სოციალური მომსახურების სააგენტომ ცხინვალში მცხოვრები მოქალაქისთვის, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის პასპორტის მფლობელია, დახმარების დანიშვნაზე უარი განაცხადა.

საქმის სრულყოფილად შესწავლის შემდეგ, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს. წინადადებაში აღნიშნულია, რომ ოსური და აფხაზური პასპორტების, როგორც საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გამოყენების პრაქტიკა ქვეყანაში, კონკრეტულად კი, უფასო ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილეობის დროს. შესაბამისად, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას უნდა შეეძლოთ ისარგებლონ სხვა სოციალური თუ საგანმანათლებლო პროგრამებით აფხაზური და ოსური პასპორტების საშუალებით.

სახალხო დამცველი მოსაზრებით, საწყის ეტაპზე ცვლილებები უნდა შევიდეს შემდეგ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში, რომლებიც საშუალებას მისცემს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, ისარგებლოს საქართველოს ხელისუფლების მიერ შეთავაზებული სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამებით:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის დადგენილება №291 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის დადგენილება №45 შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №1067.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა არაერთხელ ისაუბრეს ამ საკითხზე, მათ შორის „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით“ შექმნილი სამთავრობო კომისიის სხდომაზეც, და ამასთან, ხელისუფლების გარკვეული წრეები ზოგადად დაინტერესებული არიან თემით,, დღემდე საკითხის ირგვლივ შინაარსობრივი დისკუსია და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არ დაწყებულა.

პრემიერ–მინისტრის აპარატმა სახალხო დამცველის წინადადება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან გადაამისამართა, ხოლო ჯანდაცვის სამინისტრომ, ცვლილებების პაკეტის მომზადების ნაცვლად სახალხო დამცველს აცნობა, რომ „ფულადი დახმარებებით/სერვისებით სარგებლობასთან მიმართებაში ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის/განხორციელების საკითხები განხილული იქნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფორმატში“. წერილიდან გაურკვეველია რომელ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფზეა საუბარი ან როდისთვის იგეგმება განხილვა. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას.

3. განხორციელებული პროექტები და საერთაშორისო თანამშრომლობა

3.1. განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს „დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ სხვა პირთა საკითხებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დახმარების პროექტის“ განხორციელებას. **პროექტის მიზანია** მოხდეს იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა მიმართებით არსებული პრობლემების შესწავლა, მათთვის კონსულტაციის გაწევა და შესაბამისი დახმარების აღმოჩენა. პროექტის ფარგლებში ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი დევნილთა ჩასახლებებსა და კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებში, ასევე ხდება ზოგადი და ინდივიდუალური პრობლემების შესწავლა და რეაგირება.

2014 წლის ივნის-დეკემბერში სახალხო დამცველის აპარატმა განახორციელა ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი „სამეგრელო—ზემო სვანეთში სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება“. პროექტის მიზანი იყო რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესწავლა, კონკრეტული საქმეების მოძიება, მათი შესწავლა და უფლებამოსილების ფარგლებში მათზე რეაგირება. პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ხუთჯერ მოინახულეს აფხაზეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები, გამოავლინეს სხვადასხვა სახის პრობლემები და ინდივიდუალური უფლებების დარღვევის ფაქტები და სათანადო რეაგირებაც მოახდინეს.

3.2. თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვისა და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს ყველა შესაბამის სახელმწიფო, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო უწყებასთან. თანამშრომლობა მოიცავს სახელმწიფო კომისიების მუშაობაში მონაწილეობას და რეკომენდაციების წარდგენას, არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებსა თუ პროექტებში პარტნიორობას, დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობას სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი ესწრება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომებს და კომისიის თანათავმჯდომარეს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს უგზავნის პრობლემატური საკითხების ნუსხას დღის წესრიგში შესატანად.

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე მონაწილეობს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს სამუშაო ჯგუფში, რომელიც ეხება კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობისა და დევნილთა უფლებებს. სახალხო დამცველის წარმომადგენლები სამუშაო ჯგუფის წევრებსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უზიარებენ ადამიანის უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საბჭოს მიერ მომზადებული სპეციალურ დავალებათა პაკეტში შემავალი საკითხების შესახებ მოსაზრებებს და დასკვნებს.

2014 წლის 1 აგვისტოს სახალხო დამცველის მოადგილემ და მრჩეველმა მონაწილეობა მიიღეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით გამართულ „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით“ შექმნილი სამთავრობო კომისიის სხდომაში. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სახელმწიფო უწყებებს გააცნეს სახალხო დამცველის წინადადება კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისთვის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებით სარგებლობის ხელმისაწვდომობის საკითხთან დაკავშირებით.

ამის გარდა, სახალხო დამცველი ინტენსიურად თანამშრომლობს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანა-თავმჯდომარეებთან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, გაეროს სხვადასხვა სააგენტოებთან, ევროპის საბჭოს სამდივნოსა და მათ საქართველოს ოფისთან.

2014 წლის 8 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა და დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა „სინერგიამ“ ურთიერთ-

თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. მემორანდუმის ხელმოწერის საფუძველი გახდა სახალხო დამცველისა და ქსელ „სინერგიას“ ერთიანი პოზიცია და მიზანი საერთო ძალისხმევით მოახდინონ დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის პოლიტიკის ადვოკატირება.

სახალხო დამცველი ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობ საზოგადოებასთან“ ერთად ახორციელებს პროექტს - „შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა სოციალური სტატუსის ხელშეწყობა“. პროექტის მიზანია კონფლიქტით დაზარალებული თემების ურთიერთობის აღდგენა, დევნილი პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და დაკარგული დოკუმენტების აღდგენის გზით.

მშვიდობის საერთაშორის დღის აღსანიშნავად, 2014 წლის 21-26 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანის უფლებათა სახლსა და მის წევრ ორგანიზაციებთან ერთად უმასპინძლა მშვიდობის კვირეულს, რომლის ფარგლებში სახალხო დამცველის და ადამიანის უფლებათა სახლის წარმომადგენლები შიდა ქართლში, 2008 წლის ომით დაზარალებულ სოფლებში ჩავიდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

26 სექტემბერს, გაიმართა საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო დებატები, სათაურით „ადამიანის უფლებები კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში: ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა“. შეხვედრაზე, სახალხო დამცველმა უსაფრთხოების პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, ხაზი გაუსვა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ხშირ დაკავებებს. აღნიშნა, რომ შეზღუდულია მიმოსვლის თავისუფლება, დაბალია ინფრასტრუქტურული პროგრამების განვითარების დონე, არ არის სრულყოფილი ჯანდაცვის სისტემა და ყველა ამ პრობლემას სახალხო დამცველის თვალსაზრისით სერიოზული, სისტემური და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება ესაჭიროება. დებატებზე მოხსენებებით წარსდგნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი გოჩა რატიანი და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, აქტივისტი სოფელ ერგნეთიდან ლია ჩლაჩიძე.

3.3. დიალოგი ნდობის აღდგენისა და ადამიანის უფლებების დასაცავად

საქართველოს სახალხო დამცველი და მისი წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრებში. შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროპის საბჭო, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი) ეგიდით იმართება და ინფორმაციის გაცვლასა და ნდობის აღდგენას ემსახურება. შეხვედრებზე განხილულია ის აქტუალური საკითხები, რომლებიც ქართულ, ოსურ და აფხაზურ საზოგადოებებს აწუხებთ. მაგალითად, გადაადგილების თავისუფლება, განათლების უფლება, პატიმართა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა საკითხები, გენდერული თანასწორობა, ოჯახში ძალადობა და აშ.

შეხვედრებზე სახალხო დამცველმა მისი აპარატის საქმიანობასა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე ისაუბრა. საქართველოს სახალხო დამცველის მრჩეველმა ასევე გააცნო საზოგადოებას სახალხო დამცველის სპეციალური ნარკვევი ადმინისტრაციულ ხაზზე დაკავებებისა და პატიმართა მდგომარეობის შესახებ.

4. 2015 წლის პრიორიტეტები

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების მონიტორინგი და დაცვა 2015 წლის კვლავ ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება. 2015 წლისათვის სახალხო დამცველის აპარატი გეგმავს შემდეგ საქმიანობებს:

4.1. კვლევები, პრობლემური საკითხების შესწავლა და აქტუალიზაცია

2015 წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველი გამოაქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს *იძულებით გადაადგილებული პირებისა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ*. ანგარიშში განხილული იქნება დევნილთა და გამოყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც 2014 წელს, სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს ეფუძნება.

ამავე პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატი გამოაქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს *კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების სახელმ-*

წიფო პოლიტიკის შესახებ. დოკუმენტი შეაფასებს 2012 წლიდან ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით.

2015 წლის პირველ ნახევარში, სახალხო დამცველის თანამშრომლები შეისწავლიან *კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ქონებრივ უფლებებსა და რესტიტუციის საკითხს.* შესწავლის შედეგად მომზადდება სპეციალური ანგარიში სადა სახალხო დამცველი წარმოადგენს მის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს აღნიშნულ საკითხზე.

ამის გარდა, სახალხო დამცველი სპეციალურ ანგარიშს მიუძღვნის *1990-იანი და 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტების დროს გაუჩინარებულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა თემას და მიმოიხილავს სახელმწიფო პოლიტიკას ამ მიმართულებით.*

2015 წლის მეორე ნახევარში დაგეგმილია კვლევა *კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა სპეციალურ საჭიროებებზე* და *„ქალებზე, მშვიდობასა და, უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325, №1888, №1889* და *№1960 რეზოლუციების განხორციელების 2012—2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის* შეფასება.

4.2. საგანმანათლებლო საქმიანობა

2015 წლის ზაფხულში სახალხო დამცველის აპარატი ჩაატარებს ადამიანის უფლებათა ორ საზაფხულო სკოლას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები, სტუდენტები და ახალგაზრდა სპეციალისტების. საზაფხულო სკოლის პროგრამას წარუძღვებიან სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები და მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები. საზაფხულო სკოლის ძირითადი თემები იქნება: ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძვლები, იძულებით გადაადგილებულ პირთა და უმცირესობათა უფლებები.

4.3. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების ადვოკატირება

სახალხო დამცველი და მისი წარმომადგენლები კვლავ აქტიურად იქნებიან ჩართული სხვადასხვა სამთავრობო და უწყებათაშორის კომისიებში, სადაც მოხდება სახალხო დამცველის მოსაზრებებისა და რეკომენდაციების განხილვა. კონკრეტულად:

- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს და მისი სამუშაო ჯგუფი;
- დევნილთა საკითხების კომისია.

2015-2016 წლებში საქართველოს სახალხო დამცველი კვლავ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დასაცავად. ამ ინიციატივის ერთ—ერთი მთავარი მიზანი აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობასთან პირდაპირი ურთიერთობების დაამყარება და მათი უფლებების დაცვაა.

*გამოცემულია ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE